ოქმი:**ო37. 3723170001**

თარიღი:**19/06/2023**

ოქმი #13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2023 წელი 15 ივნისი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, ალ. ბურჭულაძე, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

გელა ჩავლეშვილი

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის ნ 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დაეწერა განსახილველად საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისებს(პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი).

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ქონების(ს/კ. 26.26.57.389) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დაეწერა განსახილველად საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

6. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1, 2, 3 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. N 4 საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიებს(პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი).

3. N 5 საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი